



ანალიტიკური დეპარტამენტი

2012 წლის ანგარიში

სარჩევი

I.	დეპარტამენტის შესახებ	4
II.	მნიშვნელოვანი მიმართულებები.....	6
2.1.	სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვა	6
2.2.	UNCAC Review.....	6
2.3.	2012 წლის დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევა.....	7
2.4.	ევრობარომეტრის კვლევა და პრეზენტაცია.....	7
2.5.	საპროცესო შეთანხმების ფოკუს ჯგუფი.....	8
2.6.	ანტიკორუფციული საბჭოს ადმინისტრირება.....	8
2.7.	OGP სამოქმედო გეგმა.....	8
2.8.	პროკურატურის შეფასების სისტემა.....	9
2.9.	არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.....	9
2.10.	პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის იმპლემენტაცია.....	9
2.11.	data.gov.ge.....	9
2.12.	კვლევითი პრაქტიკის პროექტი - Externship	9
2.13.	ელექტრონული წიგნის პროგრამა	10
2.14.	საერთაშორისო სტაჟირების პროგრამა.....	10
2.15.	დეპარტამენტის განვითარების პროექტი	10
2.16.	ელექტრონული დემოკრატიის პროექტი.....	11
2.17.	სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადების პროექტი	11
2.18.	კონფერენცია კორუფციის თემაზე.....	11
2.19.	საერთაშორისო ანტიკორუფციული დღე	12
2.20.	კვლევა ელექტრონული მმართველობა და საინფორმაციო ტექნოლოგიების აუთსორსინგი.....	12
2.21.	კვლევა პროკურატურის ადგილი სახელმწიფო-სამართლებრივ სისტემაში.....	12
2.22.	შრომის კოდექსის ცვლილებები	13
2.23.	სამართლებრივი სიახლეები	13
2.24.	ამნისტიის მიღებისას გასათვალისწინებელი ფაქტორების კვლევა/ანალიზი.....	13
2.25.	სისხლის სამართლის რეფორმის საბჭო	13
2.26.	საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის რეფორმა.....	14
2.27.	საერთაშორისო რეიტინგების მატრიცა.....	14
2.28.	მოწმეთა დაკითხვის სტანდარტი.....	14
III.	სამართლებრივი კვლევა და ანალიზი.....	16

IV.	საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.....	18
4.1.	სახელმწიფოთა ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ (GRECO).....	18
4.2.	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD).....	18
4.3.	აღმოსავლეთ პარტნიორობის ანტიკორუფციული პანელი	18
4.4.	ევროპის საბჭოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კომიტეტი (T-PD)	18
V.	სხვა აქტივობები.....	20

I. დეპარტამენტის შესახებ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: (i) სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრის ხელშეწყობა და სისხლის სამართლის რეფორმა; (ii) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და დანაშაულის პრევენცია; (iii) სტრატეგიული მნიშვნელობის საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება და იმპლემენტაცია; (iv) ანტიკორუფციული საბჭოს საქმიანობის ხელშეწყობა; (v) საერთაშორისო ორგანიზაციებთან (OECD, GRECO, UNCAC, BSEC, NATO) ურთიერთობა და ანგარიშგება; (vi) სოციოლოგიური კვლევების ჩატარების ხელშეწყობა და შედეგების ანალიზი; (vii) კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობა და კვლევითი პროექტების მართვა; (viii) სამართლებრივი კვლევებისა და სიახლეების მომზადება; (ix) ღია მმართველობის პარტნიორობის კოორდინაცია და იმპლემენტაცია; (x) ინფორმაციის თავისუფლების ხელშესაწყობად შიდასამთავრობო კოორდინაცია; (xi) საქართველოს წარმომადგენლობა საერთაშორისო ღონისძიებებზე;

- დეპარტამენტის თანამშრომლები

რუსუდან მიხელიძე, დეპარტამენტის უფროსი, იურისტი, საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (ჰელსინკის უნივერსიტეტი), ჰარვარდის კენედის სახელობის მმართველობის სკოლა, მენეჯმენტის პროგრამის Senior Executive Fellows კურსდამთავრებული, ლექტორი.

ნინო სარიშვილი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, სტრატეგიული განვითარების სამმართველოს უფროსი, იურისტი, საერთაშორისო სამართლის მაგისტრი, კავკასიის სამართლის სკოლისა და ილიას უნივერსიტეტის ლექტორი.

ქეთევან აბაშიძე, კვლევისა და ანალიზის სამმართველოს მრჩეველი, იურისტი, ადამიანის უფლებათა, საერთაშორისო და ევროპული სამართალი; ევროკავშირის სამართლის მაგისტრი (ევროპის კოლეჯი, ბრიუგე).

გიორგი ყუფარაძე, კვლევისა და ანალიზის სამმართველოს მრჩეველი, ეკონომისტი, სოციოლოგიის მაგისტრი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი).

ნატალია ბარათაშვილი, კვლევისა და ანალიზის სამმართველოს მრჩეველი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრი.

ეკატერინე ლომთათიძე, სტრატეგიული განვითარების სამმართველოს მრჩეველი, კონსტიტუციური სამართლის სპეციალისტი, ადამიანის უფლებების მაგისტრი (ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი), სამართლის მაგისტრი (კოლუმბიის უნივერსიტეტი), თავისუფალი უნივერსიტეტის ლექტორი.

ზურაბ სანიკიძე, სტრატეგიული განვითარების სამმართველოს მრჩეველი, იურისტი, საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)); საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (გაეროს საერთაშორისო სამართლისა და მართლმსაჯულების უნივერსიტეტი (UNICRI)), ილიას უნივერსიტეტის ლექტორი.

ზურაბ ბაკურაძე, სტრატეგიული განვითარების სამმართველოს მრჩეველი, იურისტი, სისხლის სამართლის მაგისტრი, ევროპის სამართლის მაგისტრი LL.M. (ჰანოვერის ლაიბნიცის უნივერსიტეტი - გერმანია; რუანის უნივერსიტეტი - საფრანგეთი).

გურანდა ხოხობაშვილი, დეპარტამენტის მრჩეველი, ფრანგული ენის მთარგმნელ-თარჯიმანი, პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი (ნანტერის უნივერსიტეტი).

გულისა კახიაშვილი, დეპარტამენტის სტაჟიორი, იურისტი. საერთაშორისო საზღვაო სამართლის მაგისტრი (Lund University).

ნათია ოდიშარია, სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი საბჭოს ეროვნული კოორდინატორი, ინგლისური ენის ფილოლოგი (თბილისის ეკონომიკის, სამართლისა და ინფორმაციის საერთაშორისო ინსტიტუტი; თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და კულტურათა ინსტიტუტი სინქრონული თარგმნის განყოფილება)

თამარ ქოჩაკიძე, დეპარტამენტის სტაჟიორი, იურისტი (თავისუფალი უნივერსიტეტი).

II. მნიშვნელოვანი მიმართულებები

2.1. სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვა

2012 წლის განმავლობაში ანალიტიკური დეპარტამენტი კოორდინაციას უწევდა სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვას. ამ მიმართულებით მუშაობდა სისხლის სამართლის კანონმდებლობის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შექმნილი მცირე სამუშაო ჯგუფი.

პირველ ეტაპზე დაგეგმილია კოდექსის ზოგადი ნაწილის გადასინჯვა. განსაკუთრებული აქცენტები გაკეთდება ბრალის საკითხზე, პირობით მსჯავრსა და სასჯელებზე. რაც შეეხება კერძო ნაწილს, მასზე მუშაობა ზოგადი ნაწილის გადასინჯვის შემდეგ დაიწყება. კერძო ნაწილის გადასინჯვისას პრიორიტეტი იქნება თანამედროვე დანაშაულების გათვალისწინება, მოძველებული დებულებების ამოღება და სანქციების ჰარმონიზაცია.

მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში არსებული ხარვეზების გამოვლენისა და შესაბამისი საკითხებზე კვლევების ჩატარების მიზნით ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი სისტემურად ატარებდა შეხვედრებს 2012 წლის განმავლობაში. ზოგად ნაწილში იდენტიფიცირებული პრობლემები დაკავშირებულია დანაშაულის სუბიექტური მხარის ფორმებთან (განზრახვა, გაუფრთხილებლობა, დაუდევრობა), დანაშაულის კატეგორიებთან, სასჯელის სახეებთან, სასჯელის განსაზღვრის პრინციპებთან და არასწრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებებთან.

სისხლის სამართლის კოდექსში იდენტიფიცირებული პრობლემების კვლევისას ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი თანამშრომლობდა სამართლის სტუდენტების ჯგუფთან და აკადემიის წარმომადგენლებთან. შედარებითი-სამართლებრივი კვლევები ხორციელდებოდა უცხოური (ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისია საქართველოში (NORLAG), აშშ-ს საელჩოს კანონის უზენაესობის მრჩეველი) და საერთაშორისო ორგანიზაციების (United Nations Children’s Fund (UNICEF)) დახმარებით.

2.2. UNCAC Review

გაეროს კორუფციის წინააღმდეგ კონვენციის (UNCAC) ფარგლებში 2012 წელს საქართველომ გაიარა შეფასების პირველი რაუნდი, რომელიც მოიცავდა კორუფციის კრიმინალიზაციისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებს. 2012 წლის მაისში გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისის (UNODC) წარმომადგენლები და შემფასებელი ქვეყნები ვიზიტით იმყოფებოდნენ საქართველოში და შეხვედრენ სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. შეხვედრები ჩატარდა ანალიტიკური დეპარტამენტის ორგანიზებითა და მონაწილეობით. შეხვედრები გაიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასამართლო ხელისუფლების, აკადემიური წრეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

2.3. 2012 წლის დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევა

დანაშაულის შედეგად დაზარალებულთა კვლევა (ვიქტიმიზაციის კვლევა) და დანაშაულის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლა ფართოდ გამოიყენება მსოფლიოში სრულყოფილი კრიმინოლოგიური სურათის შექმნის მიზნით. 2012 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივითა და ევროკავშირის დაფინანსებით, ჩატარდა დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევის მესამე ტალღა. კვლევა ჩატარა კომპანია „გორბი“-მ. საბოლოო ანგარიში მოამზადეს იან ვან დაიკმა, ვიქტიმოლოგიისა და ადამიანის უსაფრთხოების პროფესორმა და კრიმინოლოგიის პროფესორმა გიორგი ღლონტმა. ანალიტიკური დეპარტამენტისა და კომპანია „გორბი“-ს მიერ საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობით, მომზადებულ სოციოლოგიური კვლევის კითხვარს 2012 წელს დაემატა ევრობარომეტრის და ნარკოდანაშაულის შესახებ ცალკე ბლოკები.

2010-2011 წლების მსგავსად, კვლევამ კვლავ პოზიტიური შედეგები აჩვენა: დანაშაულის დაბალი დონე, მოსახლეობის უსაფრთხოების მაღალი განცდა და ზოგადად მკვეთრად გაუმჯობესებული კრიმინოლოგიური მდგომარეობა. ამავე დროს, კვლევის შედეგად გამოიკვეთა მიმართულებები, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს, იგულისხმება დაზარალებულთა და მოწმეთა კმაყოფილება, პოლიციაში დანაშაულის შეტყობინება და სხვ.

დეპარტამენტის მიერ მომზადდა კვლევის შედეგების ანალიზი და ყველა შესაბამისი მასალა გამოქვეყნდა იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე.

2.4. ევრობარომეტრის კვლევა და პრეზენტაცია

2012 წლის 6 ივლისს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და უცხო ქვეყნის წარმომადგენლობებს წარედგინათ 2012 წლის ევრობარომეტრის საქართველოს მაჩვენებლები. ანალიტიკური დეპარტამენტის ინიციატივით, დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევის ფარგლებში, „გორბი“-მ ჩატარა ევროკავშირის ქვეყნებში არსებული ევრობარომეტრის ანალოგიური კვლევა საქართველოში. პროექტი დააფინანსა ევროკავშირმა. მეთოდოლოგია დაამტკიცა TNS-Opinion ბრიუსელის ასოცირებულმა დირექტორმა, ენტონი ალენმა, რომელიც ევრობარომეტრის კვლევაზე მუშაობს ევროკავშირში.

ევრობარომეტრის კვლევის თანახმად, საქართველოს მოქალაქეთა 99%-ისთვის 2011 წელს არ მოუთხოვიათ ქრთამი. ამ შედეგით საქართველო ევროპაში 1-ლ ადგილზეა. საქართველოს მოქალაქეთა დიდი უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ საჯარო და კერძო სექტორში მექრთამეობა არ ხდება. ასეთ მოქალაქეთა რიცხვი საქართველოში ბევრად მაღალია, ვიდრე ევროკავშირში.

2.5. საპროცესო შეთანხმების ფოკუს ჯგუფი

ანალიტიკურმა დეპარტამენტმა ჩაატარა თვისობრივი კვლევა საპროცესო შეთანხმების შესახებ განწყობებისა და დამოკიდებულებების შესახებ. კვლევის ფარგლებში ჩატარდა შვიდი ფოკუს ჯგუფის ანალიზი. ფოკუს ჯგუფების მონაწილეები შეირჩა სხვადასხვა პროფესიის, სოციალური სექტორის, ასაკისა და სქესის წარმომადგენლებისგან. კვლევის მიზანი იყო საპროცესო შეთანხმებისადმი საზოგადოების დადებითი და უარყოფითი წარმოდგენების გამოვლენა. ფოკუს ჯგუფების პირველი ნაწილი მონაწილეთა დამოკიდებულებების გამოსავლენი სტანდარტული მეთოდით ჩატარდა, ხოლო მეორე ნაწილში ფასილიტატორმა მონაწილეებს გააცნო საპროცესო შეთანხმების მარეგულირებელი კანონმდებლობიდან ამოღებული დებულებები და მოხდა მონაწილეთა წარმოდგენების შედარება კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცედურებთან.

2.6. ანტიკორუფციული საბჭოს ადმინისტრირება

2012 წელს ანალიტიკური დეპარტამენტის, როგორც ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს ხელშეწყობით გაიმართა ანტიკორუფციული საბჭოს სხდომები და მომზადდა ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები (2011 წლისა და 2012 წლის პირველი 6 თვის ანგარიში). ასევე შემუშავდა პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი და განმარტებითი ბარათი ანტიკორუფციული საბჭოს წევრების ცვლილებაზე, ჩატარდა ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის განახლების პირველადი სამუშაოები, არსებული გეგმის შესრულების ფაზების დაზუსტებითა და შესაძლო დამატებითი ვალდებულებების იდენტიფიცირებით. წლის განმავლობაში დეპარტამენტი უზრუნველყოფდა საქართველოს ანტიკორუფციული რეფორმის შესახებ დაინტერესებული ორგანიზაციებისა და პირთათვის ინფორმაციის მიწოდებას, კორუფციის თემაზე სხვადასხვა რეიტინგებისა და კვლევების ანალიზს და სხვა.

2.7. OGP სამოქმედო გეგმა

2011 წლის სექტემბერში საქართველო შეურთდა ღია მმართველობის პარტნიორობას, რომელიც მთავრობათა მეტ გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას, უკეთეს საჯარო მომსახურებასა და უსაფრთხო გარემოს შექმნას ისახავს მიზნად.

2012 წლის აპრილში საქართველომ წარადგინა ღია მმართველობის პარტნიორობის ორწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც 4 დიდ მიზნად არის გაწერილი: 1) მოქალაქეთა უკეთესი ჩართულობა საჯარო მმართველობაში; 2) საჯარო ფინანსების უკეთესი ხარჯვა; 3) უკეთესი საჯარო მომსახურება და 4) უსაფრთხო გარემო.

თითოეული მიზნის ფარგლებში აღებულ იქნა მნიშვნელოვანი ვალდებულებები. გეგმის იმპლემენტაციას ახორციელებს 10 საჯარო უწყება. იმპლემენტაციას კოორდინაციას უწევს საქართველოს ანტიკორუფციული საბჭო სამდივნოს - იუსტიციის სამინისტროს

ანალიტიკური დეპარტამენტის, მხარდაჭერით; ხოლო მონიტორინგს ახორციელებს ღია მმართველობის პარტნიორობის არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმი.

2.8. პროკურატურის შეფასების სისტემა

2012 წელს მუშაობა მიმდინარეობდა პროკურატურის შეფასების სისტემის შემუშავებაზე. პროკურატურის შეფასების სისტემის მიზანი იყო უზრუნველყო პროკურორების ობიექტური შეფასება მიზნებზე ორიენტირებული მიდგომის საშუალებით. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი იყო როგორც ინდივიდუალური პროკურორის, ასევე პროკურატურების შეფასების სისტემის შემუშავება. პროექტში მონაწილეობას იღებდნენ ანალიტიკური დეპარტამენტის, პროკურატურის, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის და სსიპ სმარტ ლოჯიკის წამორმადგენლები.

2.9. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

2012 წელს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცდა ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ შემუშავებული არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია. წლის განმავლობაში დეპარტამენტი კოორდინაციას უწევდა სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესს. შემუშავდა სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია.

2.10. პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის იმპლემენტაცია

2012 წლის განმავლობაში დეპარტამენტი მუშაობდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონთან დაკავშირებულ საკითხებზე. კერძოდ, დეპარტამენტი აქტიურად იყო ჩართული პარლამენტის მიერ კანონის რედაქტირების პროცესში. ასევე, დეპარტამენტის მიერ მომზადდა კანონის ცვლილებებისა და დამატებების პროექტი ევროკავშირის დირექტივის მოთხოვნების სათანადოდ ასახვის და ტექნიკური დაზუსტებების მიზნით. ასევე, დეპარტამენტი უზრუნველყოფდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის და იმპლემენტაციის სტატუსის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას როგორც საჯარო და კერძო სექტორისათვის, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტებისათვის.

2.11. data.gov.ge

ანალიტიკური დეპარტამენტის კოორდინაციით შეიქმნა და საპილოტე რეჟიმში გაეშვა საჯარო ინფორმაციის ერთიანი პორტალი data.gov.ge. ვებ-გვერდი ტექნიკურად გამართა სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტომ.

2.12. კვლევითი პრაქტიკის პროექტი - Externship

2012 წელს ანალიტიკურმა დეპარტამენტმა დაიწყო კვლევითი პრაქტიკის პროექტი - „Externship“. პროექტის ფარგლებში სამართლისა და სოციოლოგიის სტუდენტებმა გაიარეს

კვლევით პრაქტიკა ანალიტიკურ დეპარტამენტში. პროექტი ხორციელდებოდა საქართველოში აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობით და ითვალისწინებდა სტუდენტებისთვის კრედიტების მინიჭებას კვლევითი პრაქტიკის წარმატებით დასრულების შემთხვევაში.

კვლევითი პრაქტიკის პროექტში მონაწილე სტუდენტები ჩართული იყვნენ სამართლებრივი და სოციალურ საკითხების კვლევაში, რეკომენდაციებისა და დასკვნების მომზადებაში. კვლევის პროცესში დეპარტამენტის თანამშრომლები შერჩეულ სტუდენტებს უწევდნენ უშუალო ზედამხედველობას, რთავენ მათ თავიანთ საქმიანობაში და ეტაპობრივად აფასებდნენ მათ მიერ შესრულებულ სამუშაოს.

2.13. ელექტრონული წიგნის პროგრამა

ელექტრონული წიგნის პროგრამა იუსტიციის სამინისტროს, ეროვნული არქივისა და lib.ge-ს მიერ ერთობლივად, საგრანტო პროგრამის ფარგლებში ხორციელდებოდა. პროექტი მიზნად ისახავდა განრიდებული და სხვა კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების მიერ საზოგადოებისთვის სასარგებლო აქტივობის შესრულებაში ხელშეწყობას, მათი წიგნიერების დონის ამაღლებას და კომპიუტერული უნარ-ჩვევების განვითარებას.

საგრანტო პროგრამის ფარგლებში ელექტრონული წიგნის პროექტი 2012 წლის 6 აპრილიდან ფუნქციონირებდა. 2012 წლის ბოლოს პროექტი სამართავად სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრს გადაეცა.

2.14. საერთაშორისო სტაჟირების პროგრამა

სტაჟირების საერთაშორისო საზაფხულო პროგრამა ანალიტიკური დეპარტამენტის კიდევ ერთი ინიციატივაა. პროგრამის ფარგლებში 2012 წელს იუსტიციის სამინისტროში სტაჟირება გაიარა მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების 9 საუკეთესო სტუდენტმა. პროგრამის მიზანი, ერთი მხრივ, საქართველოს რეფორმებისა და მიმდინარე ნოვაციური პროექტების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ხოლო, მეორე მხრივ, უცხოელი სტუდენტების რესურსისა და გამოცდილების გაზიარებაა.

2.15. დეპარტამენტის განვითარების პროექტი

2012 წელს დეპარტამენტი მუშაობდა დამოუკიდებელ კვლევით ცენტრად ჩამოყალიბების პროექტზე. პროექტის მიზანი იყო ანალიტიკური დეპარტამენტის კვლევისა და საქმიანობის არეალის გაფართოება და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის საკონსულტაციო-კვლევითი მომსახურების გაწევა. ტრანსფორმაციის შემდეგ კვლევითი ცენტრის მისიად განსაზღვრული იყო მაღალი ხარისხის კვლევების ჩატარებით სახელმწიფო სტრუქტურებისათვის სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისა და საჯარო პოლიტიკის განსაზღვრის ხელშეწყობა. უფრო კონკრეტულად, დამოუკიდებელ კვლევით ცენტრად ჩამოყალიბების შემთხვევაში, ანალიტიკური დეპარტამენტი გეგმავდა საჯარო პოლიტიკის

ანალიზის სფეროების გარაფთოებას და სამართლებრივი, სოციოლოგიური და ორგანიზაციულ კვლევების ჩატარებას. ასევე, მომხმარებლებისათვის პროგრამების/პროექტების შეფასების, მონიტორინგისა და პროგნოზირების მომსახურებების შეთავაზებასაც. დამოუკიდებელ კვლევით ცენტრად გარდაქმნის საკითხებზე ანალიტიკურ დეპარტამენტს ფასილიტაციას მმართველობითი საკონსულტაციო კომპანია „სინერჯი ჯგუფი“ უწევდა.

2.16. ელექტრონული დემოკრატიის პროექტი

2012 წელს ევროპის საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-პორტალზე www.matsne.gov.ge ამოქმედდა ელექტრონული დემოკრატიის პროექტი, რომელიც საშუალებას აძლევს რეგისტრირებულ მომხმარებელს კომენტარები გააკეთოს საქართველოს საკანონმდებლო აქტებზე და ასევე, იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებულ კანონპროექტებზე. მომხმარებელს შესაძლებლობა ეძლევა, გახსნას დისკუსიის თემა საკანონმდებლო აქტის ან კანონპროექტის ნებისმიერ სტრუქტურულ ერთეულზე (კოდექსი, თავი, მუხლი, პუნქტი, ქვეპუნქტი) ან დატოვოს კომენტარი უკვე არსებულ თემაზე. აღნიშნული კომენტარები საშუალებას მისცემს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს გაიგონ საზოგადოების აზრი ცალკეულ სამართლებრივ ნორმებსა და ინსტიტუტებზე და გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები პრობლემების აღმოსაფხვრელად ან რეგულირების გასაუმჯობესებლად.

2.17. სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადების პროექტი

2012 წელს სსიპ „იუსტიციის სასწავლო ცენტრთან“ ერთად ევროპის საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა საქართველოს უზენაესი და სააპელაციო სასამართლოების მიერ 2011 წელს მიღებული სისხლის სამართლის გადაწყვეტილებების კვლევისა და ანალიზის პროექტი, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 14 სამართლის სტუდენტი საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან. სტუდენტებმა მოამზადეს საქართველოს უზენაესი და სააპელაციო სასამართლოების მიერ 2011 წელს მიღებული ყველა სისხლისამართლებრივი გადაწყვეტილების შემოკლებული ვერსია.

2.18. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ანტიკორუფციული ქსელის კონფერენცია კორუფციის თემაზე

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა (OECD) და ანალიტიკური დეპარტამენტის ორგანიზებით, 2012 წლის 25-26 სექტემბერს ქ. ბათუმში გაიმართა ანტიკორუფციული საკითხების ექსპერტთა სემინარი. ღონისძიება ჩატარდა OECD-ის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ანტიკორუფციული ქსელის ფარგლებში და მასში მონაწილეობა მიიღო 30-მდე ქვეყნის 60-მდე წარმომადგენელმა. სემინარზე განიხილეს სამი ძირითადი საკითხი: (i) მექრთამეობის რთული საქმეების გამოძიება; (ii)

უკანონო გამდიდრების დანაშაულის კრიმინალიზაცია და სისხლისსამართლებრივი დევნა; (iii) იურიდიული პირების მიერ ჩადენილი კორუფციული დანაშაულების გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა.

2.19. საერთაშორისო ანტიკორუფციული დღე

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით საინტერესო იდეების სტუდენტური კონკურსი. კონკურსის ფარგლებში ღია მმართველობის პარტნიორობის არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმმა და ანალიტიკურმა დეპარტამენტმა ერთობლივად შეარჩიეს 5 საუკეთესო იდეა. ფორუმის წევრებიდან შესარჩევ კომისიაში წარმოდგენილი იყო 3 არასამთავრობო ორგანიზაცია: საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი.

გამარჯვებულმა სტუდენტებმა წარმოადგინეს პერზენტაციები და უპასუხეს აუდიტორიის შეკითხვებს. საბოლოოდ გამარჯვებული გამოვლინდა აუდიტორიის მიერ ადგილზე ონლაინ ხმის მიცემის სისტემით. ღონისძიებას ესწრებოდნენ იუსტიციის სამინისტროს და არასამთავრობოთა ფორუმის წარმომადგენლები, ასევე კონკურსში მონაწილე სხვა სტუდენტები, რომლებიც საუკეთესო ხუთეულში ვერ მოხვდნენ.

2.20. კვლევა ელექტრონული მმართველობა და საინფორმაციო ტექნოლოგიების აუთსორსინგი

2012 წლის ბოლოს საქართველოს მთავრობისთვის მომზადდა ვრცელი კვლევა და რეკომენდაციები ელექტრონული მმართველობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების აუთსორსინგის შესახებ. კვლევაში გაანალიზებულია აღნიშნულ სფეროებში საქართველოში არსებული ვითარება, საერთაშორისო სტანდარტები და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული მოდელები და საერთაშორისო გამოცდილების ანალიზზე დაყრდნობით, ჩამოყალიბებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

2.21. კვლევა პროკურატურის ადგილი სახელმწიფო-სამართლებრივ სისტემაში

2012 წლის ბოლოს საქართველოს მთავრობისთვის ანალიტიკურმა დეპარტამენტმა მოამზადა შედარებით-სამართლებრივი კვლევა პროკურატურის ადგილზე სახელმწიფოს ინსტიტუციური მოწყობის სისტემაში. კვლევაში დეტალურად გაანალიზდა ევროპის ათი ქვეყნისა და აშშ-ს მიდგომები პროკურატურის მუშაობის ინსტიტუციურ მოწყობის დასახელებით; ასევე, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციები.

2.22. შრომის კოდექსის ცვლილებები

2012 წელს ანალიტიკურმა დეპარტამენტმა სამართალშემოქმედების დეპარტამენტთან ერთად დაიწყო მუშაობა შრომის კანონმდებლობის სისტემურ და კონცეპტუალურ რეფორმაზე. საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმწიფოთა გამოცდილების საფუძველზე, ასევე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავდა შრომის კოდექსის ცვლილებებისა და დამატებების სამუშაო ვერსია. ცვლილებების შემუშავების პროცესში აქტიურად იყო ჩართული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტი, როჯერ ლეკური. ცვლილებებზე მუშაობის დასრულება 2013 წლის პირველ კვარტალშია დაგეგმილი. კანონპროექტის პარლამენტში წარდგენამდე დაგეგმილია პროექტის საჯარო განხილვა და კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან.

2.23. სამართლებრივი სიახლეები

ანალიტიკური დეპარტამენტი ყოველკვირეულად ამზადებს სამართლებრივი სიახლეების დაიჯესტს, რომელიც მიმოიხილავს როგორც საერთაშორისო-სამართლებრივ, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივ სიახლეებს. 2012 წელს სამართლებრივი სიახლეები გადავიდა ახალ სისტემაზე. გაკეთდა ე.წ. google alert-ების სისტემა, რომლის მეშვეობითაც ინფორმაციის მოძიება ხდება ყოველდღიური შეტყობინებების მიღების საფუძველზე. სამართლებრივი სიახლეების პრიორიტეტული თემატური მიმართულებებია: არასწრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებები და სხვ.

2.24. ამნისტიის მიღებისას გასათვალისწინებელი ფაქტორების კვლევა/ანალიზი

პარლამენტის მიერ შემუშავებულ ამნისტიის კანონპროექტთან დაკავშირებით ანალიტიკურმა დეპარტამენტმა მოამზადა იუსტიციის სამინისტროს კომენტარები და რეკომენდაციები, სადაც განხილულია ამნისტიის მიღებისას გასათვალისწინებელი ფაქტორები. რეკომენდაციებში გაანალიზებულია როგორც საერთაშორისო ნორმები, ასევე სახელმწიფოთა პრაქტიკა; აქვე, იდენტიფიცირებულია დანაშაულთა ის კატეგორიები, რომლებზეც ამნისტიის გავრცელება არ არის მიზანშეწონილი.

2.25. სისხლის სამართლის რეფორმის საბჭო

2012 წლის ბოლოს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განმახორციელებელი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნო იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტიდან გადავიდა ანალიტიკურ დეპარტამენტში. ანალიტიკურმა დეპარტამენტმა გაარძელა სამდივნოს მანდატით გათვალისწინებული საქმიანობა/საბჭოსა და საბჭოს ფარგლებში არსებული სამუშაო ჯგუფების მუშაობის ხელშეწყობა. დეპარტამენტის

ორგანიზებით საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განახლდა საკოორდინაციო საბჭოს და მის ფარგლებში არსებული სამუშაო ჯგუფების შემადგენლობა და ჩატარდა საკოორდინაციო საბჭოს სხდომა.

2.26. საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის რეფორმა

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტთან დაკავშირებით არსებული კრიტიკის გათვალისწინებით 2012 წლის ბოლოს დაიწყო მუშაობა ამ ინსტიტუტის ხარვეზების იდენტიფიცირებასა და სისტემურ რეფორმაზე. ინსტიტუტთან დაკავშირებული პრობლემები უკავშირდება საპროცესო შეთანხმების დადების პროცესში დაზარალებულების უფლებების დაცვას, ბრალდებულის ნებაყოფლობითი და ინფორმირებული თანხმობის უზრუნველყოფას, სასამართლოს მიერ პროკურორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე არსებითი კონტროლის განხორციელებას და მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფას.

2012 წლის ბოლოს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილის, ალექსანდრე ბარამიძის, ხელმძღვანელობით შეიქმნა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის რეფორმის სამუშაო ჯგუფი, სადაც იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური და სამართალშემოქმედების დეპარტამენტების თანამშრომლებთან ერთად შედიოდნენ საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლები და ამერიკის საელჩოს კანონის უზენაესობის მრჩეველი. სამუშაო ჯგუფი აქტიურად თანამშრომლობდა ევროპის კავშირის მიერ „საქართველოში სისხლის სამართლის რეფორმის ხელშეწყობის პროექტის“ ექსპერტებთან, რომლებმაც ჩაატარეს კვლევა და მოამზადეს რეკომენდაციები საპროცესო შეთანხმების რეფორმირების პროცესში ტექნიკური დახმარების გასაწევად.

2.27. საერთაშორისო რეიტინგების მატრიცა

2012 წელს ანალიტიკურ დეპარტამენტში დამუშავდა ინფორმაცია იმ მნიშვნელოვან, განმეორებად საერთაშორისო კვლევებსა და რეიტინგებზე, რომლებშიც საქართველო ფიგურირებს როგორც შესწავლის ობიექტი. მიმოხილვამ მოიცვა ყველა ის ორგანიზაცია და პუბლიკაცია, რომელშიც ასახულია საქართველოს ეფექტური მმართველობის, ეკონომიკური და სოციალური სფეროს მდგომარეობა.

2.28. მოწმეთა დაკითხვის სტანდარტი

2012 წელს ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ შემუშავდა მოწმეთა დაკითხვის და მათთან ურთიერთობის სტანდარტი, რომელიც გამიზნულია როგორც გამომძიებლებისათვის, ასევე პროკურორებისათვის. სტანდარტი შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი ასახავს დაკითხვის მოსამზადებელ ეტაპს, ხოლო მეორე ნაწილში განხილულია დაკითხვის მიმდინარეობა, მათ შორის მოქალაქესთან ურთიერთობის მეთოდები და დაკითხვის ტაქტიკური თავისებურებები. სტანდარტის შემუშავება განპირობებული იყო მოწმისა და დაზარალებულის მიმართ გამომძიებლის/პროკურორის არასათანადო და გულგრილი

დამოკიდებულების თავიდან ასაცილებლად, რადგან მსგავსი დამოკიდებულება იწვევს მოქალაქეთა უკმაყოფილებას, აზიანებს სახელმწიფოს იმიჯს და ამავე დროს, აზარალებს გამოძიების ინტერესებს.

III. სამართლებრივი კვლევა და ანალიზი

2012 წელს მომზადდა შემდეგი დოკუმენტები:

- კვლევა თემაზე რასობრივი, ენობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის მოტივი, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება;
- ადვოკატის პროფესიული საიდუმლოება, მისი ფარგლები და გამონაკლისები;
- ადვოკატის ეფექტური დახმარების უფლება საპროცესო შეთანხმების ფარგლებში (აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზი);
- გადასახადებისთვის თავის არიდება და გადასახადის აცილება - შედარებითი კვლევა;
- კვლევა ევროპაში მარიხუანის ლეგალიზაციის შესახებ;
- კვლევა ASBO-ს შესახებ;
- წინასასამართლო ანგარიშის გამოყენების პრაქტიკა სხვა სახელმწიფოებში;
- უსაფრთხოების განცდა მსოფლიოსა და საქართველოში, GALLUP-ის კვლევის მეორადი მიმოხილვა;
- საგზაო ინფრასტრუქტურით კმაყოფილება საქართველოში, GALLUP-ის კვლევის მეორადი მიმოხილვა;
- მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის კვლევის მეორადი მიმოხილვა, GCI Word Economic Forum;
- ბიზნესის კეთება საქართველოში 2012, World Bank-ისა და IFC-ის კვლევის მიმოხილვა;
- საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მიერ მომზადებული ანგარიშის მოკლე მიმოხილვა;
- კვლევა დიდ ბრიტანეთში საპროცესო შეთანხმების გამოყენების ინიციატივის შესახებ;
- გენერალური ინსპექციის კომპეტენციების განაწილება იუსტიციის სამინისტროსა და პროკურატურას შორის;
- მრავალფუნქციური ანტიკორუფციული ორგანოების უარყოფითი მხარეები;
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სისხლის სამართლის დანაშაულები და მათი დასჯის ვალდებულება;
- სასამართლოს როლი საპროცესო შეთანხმების დადების დროს, კანონით გათვალისწინებულ სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლების სასჯელის დანიშვნის პრაქტიკა;
- სასამართლო კონტროლის ფარგლები საპროცესო შეთანხმების დადების დროს ევროპულ სახელმწიფოებში;
- საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს 2013 წლის კორუფციის აღქმის ინდექსის (CPI Transparency International) მიმოხილვა;

- კანონის უზენაესობის ინდექსის (World Rule of Law Index) მიმოხილვა;
- საზოგადოების დამოკიდებულება მართლმსაჯულების სისტემის მიმართ საქართველოში, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სოციოლოგიური კვლევების მიმოხილვა.

IV. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა/წარმომადგენლობა და ანგარიშება

4.1. სახელმწიფოთა ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ (GRECO)

2012 წელს ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მომზდდა კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) მესამე რაუნდის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში ორ თემაზე: კორუფციის კრიმინალიზაცია და პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსების გამჭვირვალობა. ასევე, წლის განმავლობაში დეპარტამენტი წარმოადგენდა საქართველოს GRECO-ს პლენარულ შეხვედრებზე.

4.2. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD)

2012 წელს ანალიტიკური დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD). დეპარტამენტმა მოამზადა OECD-ის რეკომენდაციების შესრულების პროგრეს ანგარიშები, ასევე კომენტარები, ცვლილებები და დამატებები აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ანტიკორუფციული ქსელის წევრი ქვეყნების მონიტორინგის 2009-2012 წლების ანგარიშზე.

ასევე, 2012 წლის განმავლობაში ანალიტიკური დეპარტამენტი წარმოადგენდა საქართველოს OECD-ის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ანტიკორუფციული ქსელის შეხვედრებზე.

4.3. აღმოსავლეთ პარტნიორობის ანტიკორუფციული პანელი

ანალიტიკური დეპარტამენტი კოორდინაციას უწევს აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში ევროსაბჭოს ანტიკორუფციულ პროექტს. 2012 წელს დეპარტამენტი წარმოადგენდა საქართველოს აღნიშნული ინსტრუმენტის ფარგლებში გამართულ შეხვედრებსა და კონფერენციებზე. მაგალითად, დეპარტამენტმა, მონაწილეობა მიიღო ევროსაბჭოს აღმოსავლეთ პარტნიორობის ინსტრუმენტის კარგი მმართველობისა და ანტიკორუფციულ პანელსა და კონფერენციაში. ღონისძიებაზე პარტნიორობის წევრმა ქვეყნებმა გაანალიზეს ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმების შემუშავების, იმპლემენტაციისა და მონიტორინგის კარგი პრაქტიკა. საქართველომ წარადგინა საკუთარი გამოცდილება და მიღწევები.

4.4. ევროპის საბჭოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კომიტეტი (T-PD)

2012 წლის განმავლობაში ანალიტიკური დეპარტამენტი წარმოადგენს საქართველოს ევროპის საბჭოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკონსულტაციო კომიტეტში. წარმომადგენლობასთან დაკავშირებით, დეპარტამენტი მონაწილეობას იღებდა „პერსონალური მონაცემების ავტომატური გზით დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის

შესახებ" ევროპის საბჭოს 108 კონვენციის ცვლილებების შემუშავების პროცესში. ასევე, დეპარტამენტის კოორდინაციით მომზადდა ბიომეტრულ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ კითხვარზე პასუხები, ევროკავშირის პერსონალურ მონაცემთა დაცვის დირექტივისა და ევროსაბჭოს კონვენციის ცვლილებების დოკუმენტებზე კომენტარები.

V. სხვა აქტივობები

2012 წლის განმავლობაში:

1. დეპარტამენტის მიერ შემუშავდა დასკვნა ნარკოტიკების შესახებ ცვლილებების პროექტზე (ცვლილებები საქართველოს კანონში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსსა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში);
2. დეპარტამენტის კოორდინაციით მომზადდა ინფორმაცია კანონის უზენაესობის ინდექსის (Rule of Law Index) 9 მიმართულებაზე;
3. დეპარტამენტის მონაწილეობით მომზადდა საკანონმდებლო ცვლილების პროექტი - ოჯახური ძალადობის დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსში;
4. დეპარტამენტის მიერ მომზადდა პრემიერ მინისტრის სიტყვა ღია მმართველობის პარტნიორობის შესახებ;
5. დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო სემინარში Building Integrity, რომელიც ჩატარდა NATO-ს ორგანიზებით;
6. დეპარტამენტი მონაწილეობას იღებდა ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებაში; მომზადდა დოკუმენტზე კომენტარები და შენიშვნები;
7. დეპარტამენტი მონაწილეობდა სამტრედიის სკოლა-პანსეონის საკანონმდებლო პროექტის შემუშავებაში. ასევე, სკოლა-პანსეონის დებულების შემუშავების პროცესში;
8. დეპარტამენტი მონაწილეობას იღებდა იუსტიციის სამინისტროს შემდეგ პროექტებში: „ლიდერთა სახლი“, „ჩვენი საზოგადოება“; „საქართველოდან საქართველოში“;
9. დეპარტამენტის მიერ მომზადდა სისხლის სამართლის საქმეთა მართვის ინტეგრირებული სისტემის (ICCMS) თარგმანი ინგლისურ ენაზე;
10. დეპარტამენტის მიერ მომზადდა პირის ბრალდებულად ცნობის შესახებ დადგენილების ახალი და გამარტივებული ფორმები; აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების საფუძვლების და მათი დასაბუთების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები;
11. დეპარტამენტის მიერ შემუშავდა პროკურორის დასკვნითი სიტყვის ახალი და გამარტივებული ფორმა;
12. დეპარტამენტის მიერ მომზადდა საქართველოში 25 ყველაზე გავრცელებულ დანაშაულზე კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ დოკუმენტი;
13. დეპარტამენტის მიერ შემუშავდა იუსტიციის სამინისტროს შემდეგი ბროშურის ტექსტები ქართულ და ინგლისურ ენებზე:
 - სისხლის სამართლის მართლმსაჯულება;
 - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება;
 - 2011 წლის ანტიკორუფციული ანგარიში (NewsLetter);
 - ევრობარომეტრის კვლევა;
 - საქართველო - უსაფრთხო ქვეყანა;

14. დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩაატარეს შემდეგი ტრენინგები:

- პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისთვის - სამართლებრივ სიახლეებთან დაკავშირებული ტრენინგი პროკურორებისთვის;
- სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზი და „ბრიფის“ მომზადება - სასამართლო პრაქტიკის კვლევისა და ანალიზის პროექტის მკვლევარებისა და კოორდინატორებისთვის.